ოქმი:**ო08.37221111**

თარიღი:**21/04/2022**

ოქმი № 10

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 21 აპრილი

ქ.ოზურგეთი

13.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. მახარაძე, გ. ჩავლეშვილი, ბ. კილაძე, დ. მდინარაძე, პ. კიღურაძე, გ. კილაძე, ლ.კილაძე, გ.შილაკაძე, ნ.ურუშაძე, თ.ტუღუში.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტები: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების შესახებ“ და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“- კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს, იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პერიოდში საკრებულოში აღნიშნულ პროექტებზე არ შემოსულა შენიშვნები და წინადადებები, მხარი დაუჭირონ მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტების საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ, კომისიის წევრებს ასევე გააცნო, მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულებების პროექტები: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს, მხარი დაუჭირონ მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტების საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი ოთხივე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი